შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

როგორ მოვემზადოთ
მასწავლებლის საგნის გამოცდისათვის

ისტორია

თბილისი
2025

სარჩევი

შესავალი 3

ისტორიის მასწავლებელთა საგნის გამოცდის პროგრამა 4

ტესტურ დავალებათა აღწერილობა და ინსტრუქციები 15

საგამოცდო ტესტის ნიმუში და ტესტის ნიმუშის სწორი პასუხები 18

სსიპ - ,,შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის'' მიერ ვებ-გვერდზე განთავსებული საგამოცდო კრებულები წარმოადგენს ცენტრის საკუთრებას და დაცულია საქართველოს კანონით ,,საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ''.

სსიპ - ,,შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი'' ვებ-გვერდის მომხმარებელს / ვიზიტორს აძლევს უფლებას იხილოს და ჩამოტვირთოს აღნიშნული კრებულები, რომლებსაც მხოლოდ საინფორმაციო დანიშნულება აქვს. დაუშვებელია ტექსტში რაიმე ცვლილების შეტანა, რეპროდუქცია, თარგმნა და სხვა საშუალებებით გავრცელება (როგორც ბეჭდვითი, ასევე ელექტრონული ფორმით) სსიპ - ,შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის'' ნებართვის გარეშე. იკრძალება საგამოცდო კრებულების გამოყენება კომერციული მიზნებისათვის.

შესავალი

წინამდებარე კრებულის მიზანია ისტორიაში მასწავლებლის საგნის გამოცდის ჩაბარების მსურველებს გააცნოს საგამოცდო პროგრამა, ტესტურ დავალებათა აღწერილობა და ინსტრუქციები, საგამოცდო ტესტის ნიმუში შეფასების სქემასთან ერთად.

ვიმედოვნებთ, ეს კრებული დაგეხმარებათ საფუძვლიანად მოემზადოთ 2025 მასწავლებლის საგნის გამოცდის ტესტირებისათვის.

გისურვებთ წარმატებას!

ისტორიაში მასწავლებლის საგნის გამოცდის ტესტის მაქსიმალური ქულაა 55.

ტესტის ხანგრძლივობა განისაზღვრება 4 საათით.

2025 წლის მასწავლებლის საგნის გამოცდის პროგრამა ისტორიაში

საკითხთა ჩამონათვალი	საკითხის დაზუსტება
1. პროფესიული უნარ-ჩვევები	
ისტორიული დრო	დროში ორიენტირება; ქრონოლოგიური ერთეულების სისტემის გამოყენება.
ისტორიული ინტერპრეტაცია	ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების განსხვავებული ინტერპრეტაციის ანალიზი და შეფასება.
ისტორიული კვლევა	ისტორიული (პირველადი და მეორადი) წყაროების ანალიზი; ისტორიული კვლევის დაგეგმვა და ჩატარება.
კომუნიკაცია	მსჯელობა სხვადასხვა ეპოქაში საქართველოსა და მსოფლიოში მნიშვნელოვანი პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-რელიგიური მოვლენების შესახებ; მსჯელობა თანამედროვე ეპოქასა და წარსულში განსხვავებული კულტურების ურთიერთობისა და ურთიერთგავლენის შესახებ; მსჯელობა საქართველოსა და მსოფლიოში პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-რელიგიური პროცე-სების ურთიერთმიმართების შესახებ; მიმოხილვითი თხზულების დაწერა ისტორიულ თემატიკაზე; ისტორიული თემის დაწერა საკუთარი კვლევის საფუძველზე.
2. პროფესიული ცოდნა	

ისტორიის შესწავლის საგანი და ამოცანები	ისტორიის შესწავლის საგანი და ამოცანები
ისტორიის დამხმარე დისციპლინები ისტორიის პერიოდიზაცია	არქეოლოგია, ეთნოლოგია, წყაროთმცოდნეობა, ისტორიოგრაფია, ნუმიზმატიკა, ისტორიული გეოგრაფია, ჰერალდიკა, გენეალოგია, ეპიგრაფიკა. მსოფლიოსა და საქართველოში ისტორიული აზრის განვითარება (ძველი სამყაროსა და შუა საუკუნეების მემატიანეები, ახალი ეპოქის ისტორიკოსები, XIX-XX საუკუნეების ისტორიკოსები).
ისტორიული დროის ერთეულები	წელი, საუკუნე, ათასწლეული, წელთაღრიცხვის სისტემა; კალენდარი და დროის აღრიცხვის სისტემები (იულიუსის და გრიგორიანული კალენდრები, ქორონიკონი, ჰიჯრა).
პრეისტორიული ეპოქა	პალეოლითი; ნეოლითური რევოლუცია; ბრინჯაოს ეპოქა; პრეისტორიული ეპოქის ადამიანი საქართველოს ტერიტორიაზე.

ძველი აღმოსავლეთი	ძველი ეგვიპტე; შუამდინარეთი (შუმერ - აქადის სახელმწიფოები, ბაბილონი, ასურეთი); ხეთების სამეფო; ურარტუ; ფინიკია; იუდეა და ისრაელი, იუდაიზმი; აქემენიანთა იმპერია, ზოროასტრიზმი; ძველი ჩინეთი, კონფუციანობა; ძველი ინდოეთი, ინდუიზმი, ბუდიზმი. ქართველი ხალხის წარმომავლობის საკითხი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტომთა უძველესი გაერთიანებები. დიაოხი და კოლხა.

ძველი საბერძნეთი, ელინიზმი და რომი	საბერძნეთის მდებარეობა, ბუნებრივი პირობები, კრეტა–მიკენი; არქაული ეპოქა - დიდი ბერძნული კოლონიზაცია; კლასიკური ეპოქა - ათენი; სპარტა; ბერძენ-სპარსელთა ომები; პელოპონესის ომი; ძველი ბერძნული რელიგია და კულტურა. ალექსანდრე მაკედონელის იმპერია და მისი დაცემა; ელინისტური ეპოქა; იტალიის მდებარეობა, ბუნებრივი პირობები; ეტრუსკები; რომის დაარსება - მეფობის ეპოქა; რომის რესპუბლიკა (მმართველობის სისტემა, სოციალ-ეკონომიკური სისტემა, პატრიციები და პლებეები; დაპყრობითი ომები, რესპუბლიკის კრიზისი, სამოქალაქო ომები); რომის იმპერია ახ. წ. I–II საუკუნეებში - პრინციპატი (იმპერატორის ხელისუფლება და მმართველობის სისტემა; სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, ქრისტიანობის წარმოშობა და მისი გავრცელება, საგარეო და საშინაო პოლიტიკა. ოქტავიანე, ვესპასიანე, ტრაიანე, ადრიანე, ანტონიუს პიუსი, მარკუს ავრელიუსი); რომის იმპერია ახ. წ. III–V საუკუნეებში - დომინატი (დიოკლეტიანეს რეფორმები და დომინატის დამყარება; კონსტანტინეს რეფორმები; ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება; რომის იმპერიის ორად გაყოფა; რომი და ბარბაროსები; დასავლეთ რომის იმპერიის დაცემა); კულტურა ძველ რომში.
საქართველო ანტიკურ ხანაში	დასავლეთ საქართველო ძვ. წ. VI-III სს.-ში და ბერძნული ახალშენები. ქართლის (იბერიის) სამეფო ძვ.წ.აღ-ის IV - ახ.წ.აღ-ის III სს. სახელმწიფო მმართველობის სისტემა, საზოგადოებრივი (სოციალური) ურთიერთობები, საქალაქო ცხოვრება, საგარეო

	პოლიტიკა (ურთიერთობა ელინისტურ სახელმწიფოებთან, რომთან და პართიასთან); ანტიკური ხანის ქართული კულტურა და რელიგია.
სასანიანთა ირანი	სახელმწიფო მმართველობის სისტემა, საშინაო და საგარეო პოლიტიკა.
ბიზანტიის იმპერია IV- XV საუკუნეებში	სახელმწიფო მმართველობის სისტემა; იუსტინიანე დიდი და „რომის სამართლის კრებული“; ურთიერთობა ბარბაროსულ სახელმწიფოებთან; ირან-ბიზანტიის ომები; ჰერაკლე კეისარი; ბიზანტიის იმპერია და არაბები; მსოფლიო საეკლესიო კრებები IV-V საუკუნეებში. ხატთაყვანისმცემლობა და ხატმებრძოლეობა; განხეთქილება მსოფლიო ქრისტიანულ ეკლესიაში; ბიზანტია და თურქ-სელჩუკები; ბიზანტია და ჯვაროსნები; ბიზანტიის დასუსტება და დაცემა; ბიზანტიური კულტურა.
არაბები	მუჰამედი და ისლამი; სახალიფოს ჩამოყალიბება; არაბთა დაპყრობები; სუნიტები და შიიტები. სახალიფოს კრიზისი; არაბული კულტურა.
თურქ-სელჩუკები	სელჩუკთა სახელმწიფოს ჩამოყალიბება; სელჩუკთა დაპყრობები; სახელმწიფოს დასუსტება და დაშლა.
მონღოლები	მონღოლთა სახელმწიფოს შექმნა - ჩინგიზ ყაენი; მონღოლთა დაპყრობები; მონღოლთა სახელმწიფოები.

დასავლეთ ევროპა V - XV საუკუნეებში	ხალხთა დიდი გადასახლება; ფრანკების სამეფო (მეროვინგები; „სალიკური სამართალი”; კაროლინგების იმპერია: კარლოს დიდი, „კაროლინგული რენესანსი”; ფრანკების იმპერიის დაცემა); ფეოდალიზმი დასავლეთ ევროპაში; რაინდობა; ქალაქი და სოფელი შუა საუკუნეებში; ეკლესია შუა საუკუნეებში - კათოლიკობა და მართლმადიდებლობა; პაპობა; ეკლესია და სახელმწიფო; კათოლიკური ორდენები. ჯვაროსნული ლაშქრობები; განათლება შუა საუკუნეებში - სკოლები და უნივერსიტეტები; შუა საუკუნეების ევროპული ხელოვნება; დასავლეთ ევროპის ქვეყნები X-XV საუკუნეებში: ინგლისი (ნორმანთა მიერ ინგლისის დაპყრობა, ჰენრი II, თავისუფლების დიდი ქარტია, პარლამენტის შექმნა, ასწლიანი ომი, ვარდების ომი); საფრანგეთი (ფილიპე II, ლუი IX, ფილიპე ლამაზი, ასწლიანი ომი, ჟაკერია); საღვთო რომის იმპერია (დაპირისპირება იმპერატორებსა და პაპებს შორის); ესპანეთი (რეკონკისტა); იტალიის ქალაქები (ვენეცია და გენუა).
რუსეთი X – XVI საუკუნეებში	კიევის რუსეთის სახელმწიფოს შექმნა; რუსეთის გაქრისტიანება; რუსეთი მონღოლთა ბატონობის პერიოდში; მოსკოვის სამთავროს გაძლიერება.

საქართველო IV-XV საუკუნეებში	ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება; ვახტანგ გორგასალი; „დიდი ომიანობა“; 608 წლის საეკლესიო განხეთქილება; მეფობის გაუქმება ქართლში. ასურელი მამები; ერისმთავრობის ინსტიტუტი; არაბობა საქართველოში (ჰაბიბ იბნ-მასლამას „დაცვის სიგელი“, მურვან ყრუსა და ბუღა თურქის ლაშქრობები, არაბთა მმართველობის სისტემა საქართველოში); სამეფო-სამთავროების წარმოშობა; საქართველო X საუკუნის ბოლოსა და XI საუკუნეში (დავით კურაპალატი; ბაგრატ III; გიორგი I, ბაგრატ IV, გიორგი II); დავით IV აღმაშენებელი; დემეტრე I; გიორგი III; თამარ მეფის ეპოქა; ქართული კულტურა IV-XIII საუკუნეებში; მონღოლთა ბატონობა საქართველოში (მონღოლური მმართველობის დამყარება საქართველოში; მონღოლური გადასახადები; ორმეფობა; დემეტრე თავდადებული). გიორგი V ბრწყინვალე; თემურ-ლენგის შემოსევები საქართველოში და მისი შედეგები; ალექსანდრე დიდი; გიორგი VIII და ქვეყნის დაშლა სამეფო-სამთავროებად.
ოსმალეთის სახელმწიფო	ოსმალთა სახელმწიფოს ჩამოყალიბება და გაძლიერება; დაპყრობითი ომები ევროპაში; ირან-ოსმალეთის ომები XVI-XVII სს; რუსეთ-ოსმალეთის ომები XVIII-XIX სს.

დასავლეთ ევროპა, ჩრდილოეთ ამერიკა, რუსეთი XVI-XIX საუკუნეებში	რენესანსი; რეფორმაცია და კონტრრეფორმაცია (მარტინ ლუთერი, კალვინიზმი, რეფორმაცია ინგლისში); კოლუმბამდელი ამერიკის ცივილიზაციები: (მაია, აცტეკები და ინკები); დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები (ვასკო და გამა, კოლუმბი, მაგელანი); საფრანგეთი (რელიგიური ომები, ანრი IV, რიშელიე, მაზარინი, ლუი XIV, მერკანტილიზმი); ინგლისი (ჰენრი VIII, ელისაბედ I, ჩარლზ I, სამოქალაქო ომი, კრომველი, რევოლუციის შედეგები); საღვთო რომის იმპერია (კარლოს V, ნიდერლანდების ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის, ოცდაათწლიანი ომი); ესპანეთი (ფილიპე II);

	რუსეთი (ივანე მრისხანე; პეტრე I; ეკატერინე II, ალექსანდრე II); ამერიკის კოლონიზაცია ინგლისელების მიერ; ომი დამოუკიდებლობისათვის და ამერიკის შეერთებული შტატების შექმნა; სამოქალაქო ომი აშშ-ში; განმანათლებლობა (ფრანგი განმანათლებლები, ეკონომიკური თეორიები ფიზიოკრატები, ადამ სმიტი); საფრანგეთის დიდი რევოლუცია (აბსოლუტიზმის კრიზისი, მონარქიის დამხობა, იაკობინელთა დიქტატურა, რევოლუციის შედეგები); ნაპოლეონის ეპოქა (ნაპოლეონის აღზევება, ნაპოლეონის საგარეო პოლიტიკა და საომარი კამპანიები; კონტინენტური ბლოკადა, 1812 წლის საომარი კამპანია რუსეთში, ბრძოლა ლაიფციგთან, ასი დღე, ვატერლოოს ბრძოლა); 1830 და 1848 წლების რევოლუციები ევროპაში; ინდუსტრიული რევოლუცია; იმპერიალიზმი და კოლონიალიზმი (ინგლისი, რუსეთი, საფრანგეთი, ესპანეთი); ევროპა XIX საუკუნის მეორე ნახევარში (საფრანგეთის მესამე რესპუბლიკა, გერმანიის გაერთიანება, იტალიის გაერთიანება, ალექსანდრე II-ის რეფორმები რუსეთში); დასავლური კულტურა XVI-XIX სს.
საქართველო XVI-XVIII საუკუნეებში	ბრძოლა ირანისა და ოსმალეთის წინააღმდეგ; ლუარსაბ I; ბაგრატ III; ამასიის ზავი; სიმონ I; სამცხე-საათაბაგოსა და აჭარის ოსმალეთის მფლობელობაში გადასვლა; თეიმურაზ I; ლუარსაბ II; გიორგი სააკაძე; როსტომ-ხანი; ვახტანგ VI; თეიმურაზ II და ერეკლე II; სოლომონ I; საქართველო-რუსეთის ურთიერთობა XVI-XVIII სს; ქართული კულტურა XV-XVIII სს.

საქართველო XIX საუკუნეში	რუსეთის მიერ ქართული სამეფო-სამთავროების გაუქმება; აჯანყებები ქართლის მთიანეთში, კახეთში, იმერეთსა და გურიაში; 1832 წლის შეთქმულება; რუსეთის მთავრობის პოლიტიკა საქართველოში 30-50-იან წლებში; რუსეთ-ირანის და რუსეთ-თურქეთის ომები და საქართველო; ბატონყმობის გაუქმება საქართველოში; 60-70-იან წლების რეფორმები; „თერგდალეულები“; პოლიტიკური მიმდინარეობებისა და პარტიების ჩამოყალიბება; ქართული კულტურა XIX საუკუნეში.

მსოფლიო XX-XXI საუკუნეში	მსოფლიო XX საუკუნის დასაწყისში; I მსოფლიო ომი (მიზეზები, საომარი მოქმედებები, შედეგები, საქართველო და I მსოფლიო ომი) პარიზის სამშვიდობო კონფერენცია; რევოლუციები და სამოქალაქო ომი რუსეთში; საქართველო 1918-1921 წლებში (საშინაო და საგარეო პოლიტიკა, კულტურა); საქართველოს ოკუპაცია საბჭოთა რუსეთის მიერ და მისი გაერთიანება სსრკ-ში; სსრკ 20-30-იან წლებში; საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში (20-იანი წლების დასაწყისის განმათავისუფლებელი აჯანყებები; კოლექტივიზაცია და ინდუსტრიალიზაცია; პოლიტიკური რეპრესიები); ევროპა პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შორის (გერმანია, იტალია); აშშ და დიდი დეპრესია; II მსოფლიო ომი (მიზეზები; საომარი მოქმედებები; შედეგები; საქართველო და II მსოფლიო ომი); მსოფლიო და საქართველო XX საუკუნის მეორე ნახევარსა და XXI საუკუნის დასაწყისში: ცივი ომი; ცივი ომის დროინდელი კონფლიქტები (კორეის ომი; კარიბის კრიზისი; ვიეტნამის ომი; ავღანეთი; ისრაელი და არაბული სამყარო); „პერესტროიკა“ და სსრკ-ის და აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტური სისტემის დაშლა; ეროვნული მოძრაობის გაღვივება საქართველოში და დამოუკიდებლობის აღდგენა; კონფლიქტები პოსტსაბჭოთა სივრცეში; XX-XXI საუკუნის დასავლური კულტურა; XX –XXI საუკუნის ქართული კულტურა.

ტესტურ დავალებათა აღწერილობა და ინსტრუქციები

დავალება I ტიპი

- *დახურული დავალება*

<u>**დავალების აღწერა და ინსტრუქცია:**</u> დავალებაში დასმულია კითხვა, რომელსაც ოთხი სავარაუდო პასუხი ახლავს. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. პასუხების ფურცელში უნდა გადახაზოთ არჩეული პასუხის შესაბამისი უჯრა.

<u>**მოწმდება:**</u> ფაქტობრივი მასალის ცოდნა და მისი გამოყენების უნარი; ისტორიული მოვლენებისა და პროცესების დამახასიათებელი, არსებითი ნიშნების გამოვლენის უნარი; ისტორიული მოვლენებისა და პროცესების მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გამოვლენის უნარი.

<u>**შეფასება:**</u> თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

<u>ნიმუში იხილეთ თანდართული ტესტში</u>

დავალების II ტიპი

- *ქრონოლოგიის განსაზღვრა*

<u>**დავალების აღწერა და ინსტრუქცია:**</u> დავალებაში მოცემული ჩამონათვალი (ისტორიული პიროვნებების ან მოვლენების, ფაქტების) უნდა დალაგდეს ქრონოლოგიური პრინციპით, უძველესიდან უახლესისაკენ. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელში მოცემულ უჯრებში. გაითვალისწინეთ, რომ უჯრაში იწერება მხოლოდ დასახელებული მოვლენის ან პიროვნების შესაბამისი ციფრი.

<u>მოწმდება:</u> ფაქტობრივი მასალის ცოდნა და მისი გამოყენების უნარი; ისტორიულ დროში ორიენტაციის უნარი.

<u>შეფასება:</u> თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

<u>ნიმუში იხილეთ თანდართული ტესტში</u>

დავალების III ტიპი

ο ისტორიული რუკის ანალიზი

<u>დავალების აღწერა და ინსტრუქცია:</u> დავალებაში მოცემულია გარკვეული ეპოქის ისტორიული რუკა. საკუთარ ცოდნასა და რუკაზე არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მოსწავლეს პასუხები უნდა გაეცა დასმულ შეკითხვებზე. მოსწავლის მიერ გაცემული პასუხებიდან ოთხი შეიცავს შეცდომას. პედაგოგის ამოცანაა ამ შეცდომების პოვნა და სწორი პასუხების დაფიქსირება.

<u>მოწმდება:</u> ისტორიული წყაროში - რუკაზე მოცემული ინფორმაციის წაკითხვის, მისი გამოყენებისა, ინტერპრეტაციისა და ისტორიულ კონტექსტში ჩასმის უნარი.

შეფასება: დავალების მაქსიმალური ქულაა 4.

<u>ნიმუში იხილეთ თანდართული ტესტში</u>

დავალების IV ტიპი

○ ვიზუალური წყაროს ანალიზი

<u>**დავალების აღწერა და ინსტრუქცია:**</u> ვიზუალური წყარო - ილუსტრაცია ასახავს ერთ კონკრეტულ ისტორიულ მოვლენას/პროცესს. აპლიკანტმა დასმულ კითხვებს უნდა უპასუხოს.

<u>**მოწმდება:**</u> ისტორიული წყაროში მოცემული ინფორმაციის წაკითხვის, მისი გამოყენების, ინტერპრეტაციისა და ისტორიულ კონტექსტში ჩასმის უნარი. **შეფასება:** დავალების მაქსიმალური ქულაა 7.

<u>ნიმუში იხილეთ თანდართული ტესტში</u>

დავალების V ტიპი

○ წერილობითი ისტორიული წყაროს ანალიზი

<u>**დავალების აღწერა და ინსტრუქცია:**</u> დავალებაში მოცემულია უცნობი წერილობითი ისტორიული წყარო, რომელსაც თან ახლავს შეკითხვები.

<u>**მოწმდება:**</u> წერილობით ისტორიული წყაროში მოცემული ინფორმაციის წაკითხვის, მისი გამოყენებისა, ინტერპრეტაციისა და ისტორიულ კონტექსტში ჩასმის უნარი. საკუთარი აზრის შემუშავებისა და არგუმენტირებულად დასაბუთების, ლოგიკური, კრიტიკული აზროვნების უნარი; მოვლენათა შეფასების უნარი.

შეფასება: დავალების მაქსიმალური ქულაა 18.

<u>ნიმუში იხილეთ თანდართული ტესტში</u>

ტესტი ისტორიაში

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ყურადღებით გაეცანით ტესტის ყოველი დავალების ინსტრუქციას, კარგად გაიაზრეთ თითოეული დავალების მოთხოვნა და შემდეგ დაიწყეთ მუშაობა.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 55.

ტესტის შესრულებისათვის გეძლევათ 4 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

ინსტრუქცია დავალებებისათვის №1-22. თითოეულ კითხვას ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. თქვენ მიერ არჩეული პასუხის მონიშვნის ერთადერთი გზა პასუხების ფურცელზე სათანადო უჯრაში X ნიშნის დასმაა. არც ერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა. შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

(1) 1. რომელი მდინარის აუზში მდებარეობდა უძველესი ქალაქი მოჰენჯო-დარო?

ა) იანძის;

ბ) ამუდარიის;

გ) ინდის;

დ) მეკონგის.

(1) 2. რომელი ინფორმაციაა მართებული ძველი რომის შესახებ?

ა) კელტებთან მიღწეული გამარჯვების აღსანიშნავად ქალაქის ერთ-ერთ ბორცვზე კოლიზეუმი ააგეს;

ბ) იუპიტერის ტაძარი ძველი რომის ერთ-ერთი უმთავრესი რელიგიური ცენტრი იყო;

გ) გალების მუდმივი თავდასხმებისაგან დასაცავად მდინარე პოს გასწვრივ დამცავი კედელი აშენდა;

დ) ქალაქის ცენტრში მდგარი ტიბრის კოლოსი სახელმწიფოს ძლევამოსილების სიმბოლო იყო.

(1) **3. რომელი ინფორმაციაა მართებული ელინისტური ეპოქის შესახებ?**

ა) დაიწყო პელოპონესის ომის დასრულებისთანავე, როდესაც ბალკანეთის ნახევარკუნძულზე სპარტას ჰეგემონია დამყარდა;

ბ) დასრულდა რომის მიერ პტოლემაიოსების ეგვიპტის სახელმწიფოს დაპყრობით;

გ) ძირთადად ემთხვევა რომში ტეტრარქიის პერიოდს;

დ) იწყება ათენის ქალაქ-სახელმწიფოს წარმოშობით და დასავლეთ რომის იმპერიის დაცემით სრულდება.

(1) **4. რომელი ძველი ბერძენი ავტორი გვაწვდის ცნობებს იბერიის სამეფოს მოსახლეობის ოთხ გვარად დაყოფის შესახებ?**

ა) თუკიდიდე;

ბ) სტრაბონი;

გ) დემოკრიტე;

დ) პლუტარქე.

(1) 5. რომელი ინფორმაციაა მართებული სასანიანთა ირანის შაჰ ხოსრო II ფარვიზის შესახებ?

ა) წამოიწყო ომი არაბთა სახალიფოს წინააღმდეგ და მახლობელ აღმოსავლეთში პროვინციების უდიდესი ნაწილი დაიბრუნა;

ბ) ბიზანტიაში მიმდინარე კონფესიურ ბრძოლაში მხარი დაუჭირა დიოფიზიტობის მიმდევრებს;

გ) ჩაატარა რელიგიური რეფორმა და, ზოროასტრიზმის ნაცვლად, სახელმწიფო რელიგიად ისლამი გამოაცხადა;

დ) ბიზანტიის იმპერატორის დახმარებით ტახტი დაიბრუნა და სანაცვლოდ მესოპოტამიასა და კავკასიაში მას ტერიტორიები დაუთმო.

(1) 6. რომელი მსჯელობაა მართებული VIII საუკუნის მეორე ნახევარში პირენეის ნახევარკუნძულზე კორდოვას საამიროს ჩამოყალიბების შესახებ?

ა) ომაიანთა საგვარეულოს ერთ-ერთმა წარმომადგენელმა, რომელიც სამოქალაქო ომს გადაურჩა, თავი დამოუკიდებელ ამირად გამოაცხადა;

ბ) ადგილობრივ ქრისტიან მეფეებთან ბრძოლაში მოპოვებული წარმატებების შემდეგ ფატიმიანთა საგვარეულოს წარმომადგენელი ხალიფას განუდგა;

გ) აბასიანების დინასტიამ სახალიფოში გაბატონების შემდეგ საამიროში თავისი წარმომადგენელი გაგზავნა, თუმცა ცოტა ხანში ის აჯანყდა;

დ) აფრიკიდან გამოქცეულმა ალმორავიდების დინასტიის წარმომადგენელმა დაამარცხა ადგილობრივი მუსლიმი მმართველი და დამოუკიდებელი სამთავრო ჩამოაყალიბა.

(1) 7. რომელი ინფორმაციაა მართებული თბილისის საამიროს შესახებ?

ა) ბუღა თურქის ლაშქრობის შემდეგ ამირას თანამდებობა ახალი დინასტიის ხელში გადავიდა;

ბ) უკანასკნელი ამირას გარდაცვალების შემდეგ თბილელმა ბერებმა ქალაქი ქართლის ერისმთავარს გადასცეს;

გ) აბულ კასიმმა თბილისი ვერ აიღო და ქალაქმა დამოუკიდებელი საამიროს სტატუსი დაიმკვიდრა;

დ) ბაგრატ III-ის ბრძანებით თბილისის ამირა დაატყვევეს, თუმცა ქალაქი ისევ მუსლიმთა ხელში დარჩა.

(1) **8. რომელი ინფორმაციაა მართებული შუა საუკუნეების ევროპის ერთ-ერთი უნივერსიტეტის შესახებ?**

ა) ბოლონიის უნივერსიტეტი, რომელიც XI საუკუნეში დაარსდა, ერთ-ერთი უძველესი იყო;

ბ) ლივერპულის უნივერსიტეტმა პირველმა შემოიღო სტუდენტთა შეფასების სისტემა;

გ) მიუნხენის უნივერსიტეტი ერთადერთი იყო, სადაც ქალებს სწავლის უფლება ჰქონდათ;

დ) სტრასბურგის უნივერსიტეტმა XIII საუკუნიდანვე მიიღო სრული ავტონომია.

(1) 9. რომელ სახელმწიფოში მოქმედებდა კანონთა კრებული - სალიკური სამართალი?

ა) რომის იმპერიაში;

ბ) ფრანკთა სამეფოში;

გ) ბიზანტიის იმპერიაში;

დ) ბულგარეთის სამეფოში.

(1) 10. რომელი ინფორმაციაა მართებული გიორგი მთაწმინდელის შესახებ?

ა) მოღვაწეობდა მის მიერ დაარსებულ იყალთოს აკადემიაში;

ბ) შეადგინა იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ტიპიკონი;

გ) შექმნა საგალობელი „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“;

დ) დაიცვა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია ანტიოქიის პატრიარქთან.

(1) 11. ვინ იყო ევროპაში ავიცენას სახელით ცნობილი პიროვნება?

ა) ბუდისტი ბერი, რომელმაც დაწერა ალქიმიის სახელმძღვანელო;

ბ) ზოროასტრი მოგვი, რომელმაც შეადგინა ტრაქტატი ასტრონომიის შესახებ;

გ) ქრისტიანი სასულიერო პირი, რომელმაც შექმნა პირველი ენციკლოპედიური ნაშრომი;

დ) მუსლიმი სწავლული, რომელმაც შეადგინა მნიშვნელოვანი სამედიცინო თხზულება.

(1) 12. იმერეთის რომელმა მეფემ მოიწვია საეკლესიო კრება XVI საუკუნეში, რომლის ერთ-ერთი მიზანი „ტყვეთა სყიდვის“ აღკვეთა იყო?

ა) სოლომონ I-მა;

ბ) ალექსანდრე III-მ;

გ) ბაგრატ III-მ;

დ) გიორგი III-მ.

(1) 13. რომელი ქართული პოლიტიკური ერთეულის ტერიტორია აღმოჩნდა ორად გაყოფილი ოსმალეთსა და ირანს შორის 1555 წლის ამასიის ზავის მიხედვით?

ა) ქართლ-კახეთის სამეფოს;

ბ) გურიის სამთავროს;

გ) ოდიშის სამთავროს;

დ) სამცხე-საათაბაგოს სამთავროს.

(1) **14. რომელი მსჯელობა *<u>არ არის</u>* მართებული საქართველო-რუსეთის ურთიერთობების შესახებ?**

ა) ალექსანდრე I იყო კახეთის პირველი მეფე, რომელმაც დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა მოსკოვის დიდ სამთავროსთან;

ბ) ქართლში „ოსმალობის“ დაწყების შემდეგ ვახტანგ VI მრავალრიცხოვან ამალასთან ერთად რუსეთში გადასახლდა;

გ) თეიმურაზ I ირანთან მრავალწლიან ომში დამარცხების შემდეგ რუსეთში გაიხიზნა და იქვე გარდაიცვალა;

დ) იმერეთის მეფე სოლომონ II რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ წარუმატებელი ბრძოლის შემდეგ იძულებული გახდა ოსმალეთში გადახვეწილიყო.

(1) **15. რომელი ფაქტი უკავშირდება ლუი XIV-ს?**

ა) ალჟირის დაპყრობა;

ბ) ინდოეთიდან ინგლისელთა განდევნა;

გ) ესპანეთში ვალუების დინასტიის გამეფება;

დ) საფრანგეთის ტერიტორიული გაფართოება ევროპაში.

(1) **16. რა უკავშირდება კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ I-ის სახელს?**

ა) საქართველოს გეოგრაფიული ატლასის გამოცემა;

ბ) ქართული გრამატიკის სახელმძღვანელოს შედგენა;

გ) „ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელებების შეკრება;

დ) პირველი ქართული ლექსიკონის დაბეჭდვა.

(1) **17. სხვა მიზეზებთან ერთად რამ განაპირობა კუნძულ ელბადან ნაპოლეონის დაბრუნება საფრანგეთში?**

ა) ბერლინის კონგრესის ანტიფრანგულმა გადაწყვეტილებებმა;

ბ) გერმანიისა და რუსეთის იმპერიებს შორის არსებულმა უთანხმოებამ;

გ) ბურბონების არაპოპულარულმა პოლიტიკამ;

დ) როიალისტური აჯანყების დაწყებამ ვანდეაში.

(1) **18. სხვა საკითხებთან ერთად რას გულისხმობდა XIX საუკუნის 60-70-იან წლებში საქართველოში ჩატარებული საქალაქო მმართველობის რეფორმა?**

ა) თავისუფალი ქალაქების სტატუსის შემოღებას;

ბ) ქალაქის თვითმმართველობის არჩევის უფლებას;

გ) საქალაქო არჩევნებში ქონებრივი ცენზის გაუქმებას;

დ) ქალაქების დაქვემდებარებას პირადად მეფისნაცვლისადმი.

(1) 19. რომელი სახელმწიფო ცდილობდა აფრიკაში შეექმნა კოლონიური იმპერია ჩრდილოეთიდან სამხრეთამდე (კაიროდან კეიპტაუნამდე)?

ა) საფრანგეთი;

ბ) გერმანია;

გ) ესპანეთი;

დ) დიდი ბრიტანეთი.

(1) **20. როგორ დასრულდა 1918 წელს მდინარე ჩოლოქთან გამართული ბრძოლა?**

ა) საქართველოს სახალხო გვარდიამ გაათავისუფლა ბათუმი;

ბ) გერმანელთა დახმარებით მოხერხდა დენიკინის მოხალისეთა არმიის დამარცხება;

გ) ქართულმა ჯარმა დაამარცხა ოსმალეთის სამხედრო ნაწილები;

დ) მოხალისეებმა შეძლეს ფრონტიდან გამოქცეული ბოლშევიკური რაზმების დამარცხება.

(1) 21. რომელი სახელმწიფო იყო გერმანიის მოკავშირე მეორე მსოფლიო ომის დროს?

ა) ჩეხოსლოვაკია;

ბ) უნგრეთი;

გ) პორტუგალია;

დ) ირლანდია.

(1) **22. რომელი ინფორმაციაა მართებული თბილისში 1988 წლის ნოემბერში გამართული საპროტესტო აქციების გამომწვევი მიზეზის შესახებ?**

ა) განიხილებოდა საკითხი, ცვლილება შეეტანათ საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის იმ მუხლში, რომელიც მოკავშირე რესპუბლიკებს კავშირიდან გასვლის უფლებას აძლევდა;

ბ) სოფელ ლიხნში გამართულ კრებაზე აფხაზებმა მიიღეს მიმართვა, რომლითაც საკავშირო ხელისუფლებას საბჭოთა კავშირში აფხაზეთის ცალკე მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსით შესვლას სთხოვდნენ;

გ) საბჭოთა ხელისუფლებამ დაიწყო რიკოთის გვირაბის მშენებლობა, რომელშიც ქართველებმა ეკოლოგიური კატასტროფების გამოწვევის საფრთხე დაინახეს;

დ) სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა ყრილობამ მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსი მოითხოვა.

ინსტრუქცია დავალებებისათვის № 23-26.

ქრონოლოგიურად დაალაგეთ ისტორიული მოვლენები და პიროვნებები. პასუხები ჩაწერეთ პასუხებ-ის ფურცელზე მოცემულ უჯრებში. გაითვალისწინეთ, რომ უჯრაში იწერება მხოლოდ დასახელებუ-ლი მოვლენის შესაბამისი ციფრი. პირველ უჯრაში იწერება ის ციფრი, რომლითაც ყველაზე ადრე მომხდარი მოვლენაა აღნიშნული და ა. შ. შესაბამისად, ბოლო, მესამე უჯრაში ის ციფრი ჩაიწერება, რომლითაც ყველაზე გვიან მომხდარი მოვლენა აღინიშნა. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

(1) **23. ქრონოლოგიურად დაალაგეთ ძველი ეგვიპტის სახელმწიფოსთან დაკავშირებული მოვლენები.**

1. ეხნატონის რელიგიური რეფორმა
2. ჰიქსოსების შემოჭრა
3. ბრძოლა ქადეშთან

(1) **24. ქრონოლოგიურად დაალაგეთ ინგლისის სამეფოს მონარქები მათი მოღვაწეობის დროის მიხედვით.**

1. ჩარლზ I
2. ჰენრი VIII
3. ელისაბედ I

(1) **25. ქრონოლოგიურად დაალაგეთ ქართველი ხელოვანები მათი მოღვაწეობის დროის მიხედვით.**

1. ბექა ოპიზარი
2. მამუკა თავაქარაშვილი
3. არსუკისძე

(1) **26. ქრონოლოგიურად დაალაგეთ 1917-1918 წლებში სამხრეთ კავკასიაში განვითარებული მოვლენები.**

1. თბილისის უნივერსიტეტის გახსნა
2. ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის დაშლა
3. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა

ინსტრუქცია დავალებისათვის № 27.

მოსწავლეს აქვს რუკა. მას საკუთარი ცოდნისა და რუკაზე არსებული ინფორმაციის გამოყენებით უნდა ეპასუხა დასმული კითხვებისათვის.

მოსწავლის მიერ გაცემულ პასუხთაგან ოთხი (4) არასწორია.

თქვენ უნდა იპოვოთ ოთხივე შეცდომა, გადმოწეროთ პასუხების ფურცლის სათანადო ადგილზე და იქვე მიუწეროთ სწორი პასუხები. დავალების მაქსიმალური ქულაა 4.

დავალება 27. რუკა და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე



კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე

მოსწავლისათვის დასმული კითხვები:	მოსწავლის მიერ გაცემული პასუხები:
27.1. რომელი ქართული სამეფოა გამოსახული რუკაზე ნაწილობრივ?	**27.1**. იმერეთის
27.2. რუკის მიხედვით სრულად ჩამოთვალეთ, ქართლ-კახეთის სამეფოში შემავალი რომელი ისტორიული მხარეებია დარჩენილი დღეს საქართველოს საზღვრებს მიღმა.	**27.2.** ლორე, თუშეთი
27.3. რუკის მიხედვით, რომელ პოლიტიკურ ერთეულთან გადიოდა ქართლ-კახეთის სამეფოს საზღვარი მხოლოდ მდ. ალაზანზე?	**27.3.** ჭარ-ბელაქანთან
27.4. რუკის მიხედვით სრულად ჩამოთვალეთ ხალხები, რომლებიც სახლობდნენ ქართლ-კახეთის სამეფოს ჩრდილოეთი საზღვრის გასწვრივ, მაგრამ არა სამეფოს შემადგენლობაში.	**27.4.** ხევსურები, ოსები, ინგუშები
27.5. რუკის მიხედვით, რომელი მდინარის ხეობის გასწვრივ მოაწყვეს ქართველებმა ლაშქრობა მეზობელ სახელმწიფოში და რომელ დასახლებულ პუნქტთან გაიმართა ბრძოლა?	**27.5**. მტკვრის. ახალქალაქთან

ინსტრუქცია დავალებისათვის № 28.

ყურადღებით გააანალიზეთ ილუსტრაციაზე მოცემული ინფორმაცია და უპასუხეთ დასმულ კითხვებს. გაითვალისწინეთ, რომ სამივე ილუსტრაციაზე ასახულია ერთი ისტორიული პროცესის სამი ეპიზოდი. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 7.

დავალება 28. ილუსტრაციები და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე



№ 1

№ 2

№ 3

კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე

სამივე ილუსტრაცია ეხება ერთ ისტორიულ მოვლენას

კითხვები:

(2) **28.1.** დაასახელეთ N2 ილუსტრაციაზე გამოსახული ისტორიული პიროვნება. რამ განაპირობა მისი გამოსახვა ილუსტრაციაზე სწორედ ამ სახით?

(2) **28.2.** დაასახელეთ სახელმწიფოები, რომელთა შორის ბრძოლას ასახავს N1 ილუსტრაცია. დაასახელეთ ილუსტრაციაზე არსებული რომელი კონკრეტული ინფორმაცია ადასტურებს თქვენს პასუხს.

(2) **28.3.** დაასახელეთ, რომელი სახელმწიფოს გამარჯვებით დასრულდა N3 ილუსტრაციაზე გამოსახული ბრძოლა. დაასახელეთ ილუსტრაციაზე არსებული რომელი კონკრეტული ინფორმაცია ადასტურებს თქვენს პასუხს.

(1) **28.4.** თქვენი აზრით, რატომ არის ილუსტრაცია მნიშვნელოვანი სასწავლო რესურსი?

ინსტრუქცია დავალებისათვის №29. ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ისტორიული დოკუმენტი, გაიაზრეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 18.

დავალება 29. ისტორიული დოკუმენტი და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე

რომაელი ისტორიკოსები 9 წელს ტევტობურგის ტყეში მომხდარი ბრძოლის შესახებ

რომაელები გერმანიის რამდენიმე ოლქს ფლობდნენ. ბარბაროსები კი რომაულ ადათებს ემორჩილებოდნენ, ბაზრებში მოდიოდნენ და რომაელებთან მშვიდობიან ურთიერთობას ინარჩუნებდნენ. მაგრამ მათ არ შეეძლოთ თავიანთი ქვეყნის, თავისუფლების, წინაპართა წეს-ჩვეულებებისა და საკუთარი იარაღის ძალის დავიწყება. როდესაც, მანამდე სირიის პროკონსულმა, ვარუსმა გერმანიის პროვინცია მიიღო, მან მკვეთრად შეცვალა პოლიტიკა.

კვინტილიუს ვარუსი, არც თუ ისე ძველ, მაგრამ წარჩინებულ რომაულ საგვარეულოს ეკუთვნოდა. მძიმე, როგორც თავისი ხასიათით, ასევე აგებულებით, სამხედრო ლაშქრობებს ბანაკში მშვიდად ყოფნას ამჯობინებდა. თუ როგორ სძულდა მას ფული, ამაზე

გადასვლა კითხვებზე: 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12

მიგვითითებს მისი ქცევა სირიაში. ამ მდიდარ პროვინციაში ის ღარიბი ჩავიდა და მდიდარი წამოვიდა, დატოვა რა გაღარიბებული პროვინცია. როცა მიიღო გერმანიაში განლაგებული ჯარების მთავარსარდლის თანამდებობა, მან გადაწყვიტა, რომ ამ მხარის მცხოვრებლებს ადამიანური მხოლოდ ხმა და ტანი ჰქონდათ.

ვარუსმა ძალისმიერი ურთიერთობა ამჯობინა და მათგან ხარკი და მძევლები მოითხოვა. ეს მათ არ მოეწონათ. გერმანელთა ბელადები ძველი ძალაუფლების აღდგენისკენ ისწრაფვოდნენ, ხალხს კი მმართველობის ძველი ფორმა ერჩია უცხოტომელთა ბატონობას. რადგანაც თვლიდნენ, რომ რომაელთა სამხედრო ძალა დიდი იყო, თავიდან ღიად არ აჯანყდნენ.

ვარუსი ისე მიიღეს, თითქოს მისი ყველა თხოვნის ასრულებას აპირებდნენ და ხერუსკების ქვეყანაში შეიტყუეს. აქ ისინი მის გვერდით მშვიდად და

ტექსტის გაგრძელება იხილეთ შემდეგ გვერდზე

მეგობრულად ცხოვრობდნენ. ამით ვარუსი დააჯერეს, რომ მზად იყვნენ მის ბრძანებებს დამორჩილებოდნენ. შედეგად მოხდა ის, რომ ვარუსმა უარი თქვა რომაული ჯარის კონცენტრაციაზე ერთ ადგილზე. დაიწყო თავისი ხალხის გაგზავნა სხვადასხვა მიმართულებით: ხან ცალკეული ადგილების დასაცავად, ხან ყაჩაღების დასაჭერად, ხან სურსათის უსაფრთხოდ მოსატანად. შეთქმულების მეთაურები არმინიუსი და სეგიმერიუსი ყოველთვის ვარუსის გვერდით იყვნენ და მასთან ერთ მაგიდასთანაც კი ქეიფობდნენ. როდესაც ვარუსი მიმნდობი გახდა და არაფერზე აღარ შიშობდა, უფრო მეტიც, არა თუ არ უჯერებდა მათ, ვინც უარესს ვარაუდობდა და ურჩევდა ფრთხილად ყოფილიყო, არამედ ამ უკანასკნელთ სიმხდალეში ადანაშაულებდა და პასუხსაც კი სთხოვდა - მაშინ წინასწარი გეგმის თანახმად ცალკეული გერმანული ტომები აჯანყდნენ.

გადასვლა კითხვებზე: 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12

გერმანელები ფიქრობდნენ, რომ ვარუსი დაიძრებოდა აჯანყებულთა წინააღმდეგ და ამ გზით მას ხაფანგში შეიტყუებდნენ.

ყოველივე ზუსტად ასე მოხდა. როდესაც ვარუსი დაიძრა, აჯანყების ხელმძღვანელები თავიდან მასთან ერთად იყვნენ. შემდეგ უკან ჩამორჩნენ იმ მიზეზით, რომ საკუთარი ძალების შეგროვება და რომაელთა დასახმარებლად მისვლა სურდათ. ამის შემდეგ თავს დაესხნენ რომაელთა რაზმებს, გაანადგურეს ისინი და უკვე უღრან ტყეში შესულ ვარუსს დაეწივნენ. ქვეშევრდომები მტრებად იქცნენ. იმ ადგილებში მთები ხეობებით იყო დასერილი, ფერდობები კი - ხშირი და მაღალი ტყით დაფარული.

ასე რომ, მტრის თავდასხმამდე რომაელები ტყის გაკაფვით და გზის გაკვალვით იყვნენ დაკავებული. რომაელთა ჯარს, როგორც ეს მშვიდობიანობის დროს

ტექსტის გაგრძელება იხილეთ შემდეგ გვერდზე

ხდებოდა, თან მიჰყვებოდა აღალი. მისდევდა ქალების, ბავშვებისა და მოსამსახურეების გარკვეული რაოდენობა. ამიტომ ჯარი იძულებული იყო საკმაოდ დიდ სიგრძეზე გაჭიმულიყო. ჯარის ცალკეული ნაწილები სულ უფრო და უფრო ცილდებოდნენ ერთმანეთს, იმის გამო, რომ საშინელი თავსხმა წვიმა დაიწყო, მიწა დასველდა და ნაბიჯის გადადგმაც კი ჭირდა. ასეთ რთულ ვითარებაში მყოფთ თავს ბარბაროსები დაესხნენ. შესანიშნავად იცოდნენ რა ადგილობრივი გზები, მათ ალყა შემოარტყეს რომაელებს და ჯერ შორიდან დაუწყეს სროლა. შემდეგ კი, როდესაც წინააღმდეგობას არავინ აღარ უწევდა და ბევრი უკვე დაჭრილი იყო, ხელჩართულ ბრძოლაზე გადავიდნენ. რადგან რომაელები ყოველგვარი საბრძოლო წყობის გარეშე მიდიოდნენ, გაუჭირდათ საბრძოლო პოზიციის დაკავება და დიდი ზიანი განიცადეს. თავად კი, რიცხვმრავალი მოწინააღმდეგისათვის საპასუხო დარტყმის მიყენებას ვერ ახერხებდნენ ...

ასე მიდიოდნენ სამი დღე ...

მათი იარაღი დასველდა და გამოუსადეგარი გახდა. მსუბუქად შეიარაღებული მოწინააღმდეგე კი ადვილად მანევრირებდა. მტერი ადვილად ახერხებდა რომაელი ჯარისკაცებისთვის ალყის შემორტყმასა და განადგურებას. ვარუსმა და სხვა სარდლებმა შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, გადაწყვეტილება მიიღეს თავი მოეკლათ. როდესაც ეს ცნობილი გახდა, ყველამ შეწყვიტა წინააღმდეგობა, მათაც კი, ვისაც ჯერ კიდევ ჰქონდა საამისო ძალა. ნაწილმა სარდლების მაგალითს მიბაძა. სხვებმა კი გაქცევა გადაწყვიტეს, მაგრამ მთლიანად განადგურდნენ.

გადასვლა კითხვებზე: 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12

კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე

კითხვები:

(1) **29.1.** ვინ იყო დოკუმენტში აღწერილი ამბების დროს რომის იმპერატორი?

(1) **29.2.** დოკუმენტის მიხედვით, რატომ აჯანყდნენ თავიდან მხოლოდ ცალკეული გერმანული ტომები და არა ყველა ერთად?

(1) **29.3.** დოკუმენტის მიხედვით, აღწერეთ საბრძოლო მოქმედებათა არეალის ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობები.

(1) **29.4.** დოკუმენტის მიხედვით, ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობების გარდა, დაასახელეთ კიდევ ერთი მიზეზი, რაც უშლიდა ხელს რომაელთა ჯარის სწრაფ და მწყობრ მოძრაობას.

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის 1-ლ გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-2 გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-3 გვერდზე

(1) **29.5.** დოკუმენტის მიხედვით, რა უპირატესობას აძლევდა აჯანყებულებს ის, რომ მათ მსუბუქი შეიარაღება ჰქონდათ?

(1) **29.6.** დოკუმენტის მიხედვით, ვარუსის რა პიროვნული თვისება იკვეთება მისი სირიაში მოღვაწეობიდან გამომდინარე?

(2) **29.7.** დოკუმენტში არსებული ინფორმაციიდან გამომდინარე, სრულად აღწერეთ გერმანელების ურთიერთობა რომაელებთან ვარუსის ამ მხარის მმართველად დანიშვნამდე.

(2) **29.8.** დოკუმენტში არსებული ინფორმაციიდან გამომდინარე, რა ვალდებულებები დაუმატა ვარუსმა გერმანელებს და, თქვენი აზრით, რატომ?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის 1-ლ გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-2 გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-3 გვერდზე

(2) **29.9.** დოკუმენტის მიხედვით, კონკრეტულად რაში გამოიხატებოდა არმინიუსისა და სეგიმერიუსის მშვიდობიანი ურთიერთობა ვარუსთან და რა იყო ამის მიზეზი?

(2) **29.10.** დოკუმენტის მიხედვით, ვის ადანაშაულებდა სიმხდალეში ვარუსი და თქვენი აზრით, რატომ უყენებდა ამ ბრალდებას?

(2) **29.11.** დოკუმენტის მიხედვით რა მოიმოქმედეს და რა საბაბით აჯანყების ხელმძღვანელებმა მას შემდეგ, რაც ვარუსი აჯანყებულთა წინააღმდეგ დაიძრა?

(2) **29.12.** დოკუმენტში არსებული ინფორმაციის გათვალისწინებით, თქვენი აზრით, ვარუსის პიროვნულმა თვისებებმა რამდენად განაპირობა ყოველივე ის, რაც ტევტობურგის ტყეში მოხდა? მოიტანეთ ორი არგუმენტი საკუთარი მოსაზრების განსამტკიცებლად.

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის 1-ლ გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-2 გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-3 გვერდზე

ისტორიის საგნის საგამოცდო ტესტი (2024)
სულ 55 ქულა
შეფასების სქემა

1-26 დავალება 1 ქულით ფასდება

1. გ
2. ბ
3. ბ
4. ბ
5. დ
6. ა
7. ა
8. ა
9. ბ
10. დ
11. დ
12. გ
13. დ
14. გ
15. დ
16. ბ
17. გ
18. ბ
19. დ
20. გ
21. ბ
22. ა

23. 213

24. 231

25. 312

26. 312

27. სულ 4 ქულა

№1 შეცდომა – 27.2. თუშეთი; სწორი პასუხი – დვალეთი – 1 ქულა

№2 შეცდომა – 27.3. ჭარ-ბელაქანთან; სწორი პასუხი – ელისუსთან – 1 ქულა

№3 შეცდომა – 27.4. ხევსურები; სწორი პასუხი – ჩეჩნები – 1 ქულა

№4 შეცდომა – 27.5. ახალქალაქთან; სწორი პასუხი – ასპინძასთან – 1 ქულა

28. სულ 7 ქულა

1.1. ჟანა დ'არკი – 1 ქულა; ლოგიკური პასუხი, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას – 1 ქულა; სულ 2 ქულა

თუ 28.1. დავალების პირველ ნაწილზე პასუხი არასწორადაა გაცემული ან საერთოდ არ არის, მეორე ნაწილის პასუხი არ ფასდება.

1.2. ინგლისი და საფრანგეთი – 1 ქულა; ლოგიკური პასუხი, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ

შეცდომას – 1 ქულა; სულ 2 ქულა

თუ 28.2. დავალების პირველ ნაწილზე პასუხი არასწორადაა გაცემული ან საერთოდ არ არის, მეორე ნაწილის პასუხი არ ფასდება.

1.3. საფრანგეთის – 1 ქულა; ლოგიკური პასუხი, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას – 1 ქულა; სულ 2 ქულა

თუ 28.3. დავალების პირველ ნაწილზე პასუხი არასწორადაა გაცემული ან საერთოდ არ არის, მეორე ნაწილის პასუხი არ ფასდება.

1.4. ლოგიკური პასუხი, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას – 1 ქულა

29. სულ 18 ქულა

1.5. ოქტავიუს ავგუსტუსი – 1 ქულა

1.6. ხაფანგში შესატყუებლად – 1 ქულა

1.7. „მთები ხეობებით იყო დასერილი, ფერდობები კი – ხშირი და მაღალი ტყით დაფარული“ – 1 ქულა

1.8. აღალი; ქალები, ბავშვები, მოსამსახურეები; სველი მიწა – 1 ქულა

1.9. ადვილად მანევრირებდნენ –1 ქულა

1.10. ლოგიკური პასუხი, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას –1 ქულა

1.11. „რომაულ ადათებს ემორჩილებოდნენ, ბაზრებში მოდიოდნენ და რომაელებთან მშვიდობიან

ურთიერთობას ინარჩუნებდნენ“ – 2 ქულა;

სრული ჩამონათვალი - 2 ქულა; არასრული ჩამონათვალი - 1 ქულა;

1.12. „ხარკი და მძევლები მოითხოვა“ – 1 ქულა; ლოგიკური პასუხი, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას – 1 ქულა; სულ 2 ქულა

1.13. „ყოველთვის ვარუსის გვერდით იყვნენ და მასთან ერთ მაგიდასთანაც კი ქეიფობდნენ“ – 1 ქულა; ლოგიკური პასუხი, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას – 1 ქულა; სულ 2 ქულა

1.14. „მათ, ვინც უარესს ვარაუდობდა და ურჩევდა ფრთხილად ყოფილიყო“ –1 ქულა; ლოგიკური პასუხი, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას – 1 ქულა; სულ 2 ქულა

1.15. უკან ჩამორჩნენ რომაელთა ჯარს – 1 ქულა; რათა საკუთარი ძალები შეეგროვებინათ და რომაელებს დახმარებოდნენ – 1 ქულა; სულ 2 ქულა

1.16. ლოგიკური პასუხი, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას – ერთი არგუმენტით დასაბუთებული – 1 ქულა; ორი არგუმენტით დასაბუთებული 2 ქულა